სტუდენტური საერთაშორისო ინიციატივა



„ხელი შეეწოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში კომპაქტურად მცხოვრები სომხურენოვანი მოსახლეობის ფართო რაოდენობრივ და ხარისხობრივ ჩართულობას დამდეგ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში“

საარჩევნო სისტემების
განვითარების, რეფორმებისა და
სწავლების ცენტრი

ცესკო
საქართველოს საარჩევნო
ადმინისტრაცია

პროექტის მიზანი

- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში სამცხე-ჯავახეთის რეგიონში კომპაქტურად მცხოვრები სომხურენოვანი მოსახლეობის ფართო რაოდენობრივი და ხარისხობრივი ჩართულობისათვის ხელშეწყობა

პროექტის სამიზნე ჯგუფი

- სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ბორჯომის, ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები სომხურენოვანი მოსახლეობა

- მომზადდა ელექტორალური ხასიათის სკეჩები, რომლებიც ეხმიანებიან დემოკრატიული ჩართულობის კუთხით ეთნიკურ სომეხ ამომრჩეველთა წინაშე არსებულ წუხილებს, ინტერესებს, საჭიროებებსა და გამოწვევებს.

- მოხდა ელექტორალური სკეჩების დემონსტრირება უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ მუნიციპალიტეტებში, რამაც თავის მხრივ გააფართოვა აუდიტორიის მოცვის გეოგრაფია და შესაბამისად გაზარდა მისი მოსალოდნელი ეფექტი.

პროექტის აქტივობები

- შემუშავდა ელექტორალური ხასიათის 6 ინდივიდუალური ელექტორალური სკეჩების სცენარები;
- მოწვეული შემოქმედებითი ჯგუფისა და სომხურენოვანი ახალგაზრდების მონაწილეობით დაიდგა ელექტორალური ხასიათის 6 ინდივიდუალური სკეჩი;
- საპროექტო გუნდის მიერ ვიდეო ფირზე ჩაიწერა 6 ელექტორალური ხასიათის ინდივიდუალური სკეჩი;
- მოეწყო 6 ელექტორალური ხასიათის ინდივიდუალური სკეჩის ტრანსლირება ტელეკომპანიების ა-ტე-ვე 12-ის, ფარვანას და ტვ-9 ეთერით

თემატური მიმართულებები

- ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების არსი და მნიშვნელობა;
- ადგილობრივი თვითმმართველობების განსაკუთრებული კომპეტენციები;
- ნეგატიური შედეგი, რომელიც შესაძლოა გამოიწვიოს ელექტორალურ პროცესში მოსახლეობის ჩართულობის დაბალმა ხარისხმა დემოკრატიული პროცესების დაყოვნების კუთხით, ისევე როგორც ადგილობრივ თემებში ღრმად ფესვგამდგარმა ნიჰილიზმმა და საარჩევნო პროცესებში მათი მონაწილეობის ინტერესის სიმწირემ;

თემატური მიმართულებები

- როგორ დაიძლიოს უმცირესობებში ფესვგადგმული ნიჰილიზმის შეგრძნება და გაჩნდეს რწმენა, რომ აქტიურ სამოქალაქო-პოლიტიკურ და ელექტორალურ აქტიობას პოზიტიური შედეგი მოჰყვება პირადი სოციალური თუ ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით;
- საარჩევნო პროცესში ხარისხობრივი და რაოდენობრივი ჩართულობის მაღალი დონე, როგორც განვითარების წინაპირობა;
- საარჩევნო პროცესში განსხვავებული შეხედულებებისა და აზრის მქონე პირთა ჩართულობის აუცილებლობა და მათთვის თანაბარი შესაძლებლობების მქონე გარემოს ფორმირება.

თემატური მიმართულებები

- აუცილებლობა იმასა, რომ საზოგადოებამ თავად განსაზღვროს საკუთარი მომავალი დემოკრატიული ინსტიტუტების, საარჩევნო ყუთების საშუალებით და ღია, სამართლიანი, გამჭირვალე და კონკურენტული პოლიტიკური სისტემის მეშვეობით;
- საზოგადოებრივ-ელექტორალური პასიურობა როგორც მანკიერი სოციალური ფენომენი;
- ამომარჩეველთა უფლებები და მოვალეობები; ხმის მისაცემად საჭირო დოკუმენტები
- საარჩევნო წესები და პროცედურები;

დიდი მადლობა ყურადღებისთვის !